“ასეთ იაფფასიან ტრიუკებს მე არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ვუსურვებ და არც მთავრობას”

გაზეთი ალია” – ნოემბერი, № 129, 2009

“ოქტომბრის თვე საფინანსო ბაზრის მიმართულებით საკმაოდ წარმატებული იყო” – ამის შესახებ გუშინ პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. როგორც მან განმარტა, საქართველოს მიერ 2008 წლის აპრილში გამოშვებული ევროობლიგაციების ფასი ოქტომბერში 100 დოლარზე ზევით ავიდა. გამოშვებისას ევროობლიგაციების ფასი 100 დოლარი იყო, თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში იგი 60 დოლარამდე ჩამოვიდა, რაც საქართველოს ეკონომიკური ვითარების რთულ მდგომარეობაზე მეტყველებდა. „ალია“ კომენტარისთვის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ლადო პაპავას დაუკავშირდა:

– ნიკა გილაური გულისხმობს იმას, რომ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ევროპის საფინანსო ბაზარზე გაუმჯობესდა.

– ეს ის ფასიანი ქაღალდებია, რომლის გამოც ლადო გურგენიძემ ნახევარი მილიარდი ვალი დაგვადო, ხომ?

– კი, ეს თანხა ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი გადასახდელია.

– ესე იგი, ევრობაზარზე ამ ქაღალდების ფასი აიწევს თუ არა, ჩვენ მაინც არაფერი?

– როცა ფასიანი ქაღალდი ძვირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ ნდობა იზრდება, რაც თავისთავად ცუდი სულაც არ არის, მაგრამ ძალიან ცუდი ის არის, რომ მაინც ჩვენი გადასახდელია.

– ესე იგი, ჩვენი ქვეყნის მიმართ ნდობა იზრდება, შეიძლება ინვესტიციები შემოვიდეს და სააკაშვილის კლანი უფრო გამდიდრდეს, არა?

– ვინ გამდიდრდება, ჯერ არ ვიცი, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობას რომ ამით ბევრი ვერაფერი შედავათი ექნება, ეს ცხადია.

– რაც შეეხება საქართველოს შიდა საფინანსო ბაზარს, გილაურის თქმით, თურმე ესეც საკმაოდ წარმატებულია, რადგან მთავრობის მიერ გამოშვებული 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი ყოველ ჯერზე მცირდება. საპროცენტო განაკვეთი სახაზინო ვალდებულებები 5 პროცენტზე ქვემოთ ჩამოვიდა და 4.9 პროცენტზე დაფიქსირდა.

– როგორც წესი, სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის უფრო ნაკლებია, რადგან ეს არის უფრო ნაკლები რისკის შემცველი ქაღალდები. როცა რომელიმე კერძო კომპანია უშვებს, იქ რისკი მეტია, სახელმწიფოს კი აქვს გარანტია, რომ ბიუჯეტიდან გადაიხდის. ადრე, როცა სახაზინო ვალდებულებები განაკვეთი ასეულობით პროცენტზე ადიოდა, მავანმა და მავანმა დიდი ფული იშოვა, ახლა თუ დაბლა მოდის, ეს კარგია, მაგრამ თავის დროზე მე საერთოდ წინააღმდეგი ვიყავი ამ სახაზინო ვალდებულებების გამოშვებისა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ წამოვიდა საკრედიტო რესურსი კომერციული ბანკებიდან.

– ბატონო ლადო, თქვენ რამდენად სწორად მიგაჩნიათ ის ამბავი, რომ საქართველოს ხელისუფლება მუდმივად ლაპარაკობს გაყიდული მანქანების რაოდენობაზე და უძრავი ქონების გაძვირებაზე. ვერ გავიგე, ეკონომიკის აღმასვლის ინდიკატორი გაყიდული მანქანების რაოდენობაა? როგორც გილაური ამბობს, საქართველოში გაიზარდა უძრავი ქონებისა და ტრანსპორტის რეგისტრაცია, ოქტომბერში 14700 ავტოტრანსპორტი დარეგისტრირდა. სხვათა შორის, ამაზე ლაპარაკობდა რამდენიმე დღის წინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც.

– ასეთ იაფფასიან „ტრიუკებს“ მე არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ვუსურვებ და არც მთავრობას. ახლა, ავტომანქანებით ვაჭრობა ყოველთვის არის გარკვეული სპეციფიკური ბაზარი, ამ ბაზარზე, რა თქმა უნდა, გარკვეული კრიზისიც აისახება, მაგრამ ეს ეკონომიკის ინდიკატორად ნამდვილად არ გამოდგება. ვინც არ უნდა იყოს ეროვნულ ბანკში თუ მთავრობაში, უნდა მოერიდოს ასეთი იაფფასიანი რაღაცებით სპეკულირებას. თუკი ქვეყნის ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, მაშინ რატომ ამცირებს მთავრობა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს? სხვათა შორის, არც მომავალი წლის ბიუჯეტია ოპტიმისტური, ჩვენ უნდა გამოვიდეთ რეალობიდან. შეიძლება პანიკას არ უნდა მივეცეთ, მაგრამ არც საზეიმოდ გვაქვს საქმე, რადგან ოქტომბერში თურმე რამდენიმე მანქანით მეტი გაიყიდა.

– ძალიან ბევრს ტრაბახობენ ბოლო დროს, რომ ფასები ისევ იწევს ბინებზე და მიწის ნაკვეთებზე. ვერ გავიგე, ეს უნდა მიხაროდეს თუ მწყინდეს? პრინციპში, უნდა მიხაროდეს, ნაკვეთი მაქვს გასაყიდი.

– ვისაც გასაყიდი აქვს, იმას უხარია და ვისაც საყიდელი აქვს, იმას სწყინს. საერთოდ, როცა ფასები იზრდება, ესე იგი, მყიდველი ჩნდება ბაზარზე, შეიძლება ეკონომიკისთვის ეს პოზიტიურად ჩაითვალოს, მაგრამ მე ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ ეს პრობლემა დღეს გადაწყვეტილია. ამ შემთხვევაშიც გვაქვს რაღაც დაუსაბუთებელი ოპტიმიზმი.

– ახლა რომ დავფიქრდი, ჩემი სიხარული არის მოჩვენებითი, რადგან ჩემს მიწის ნაკვეთთან ერთად თურმე კარტოფილიც დაძვირებულა, თხა გავყიდე, თხა ვიყიდე გამოდის.

– რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სურათი ნათელია და თავზე ნაცრის წაყრა არ არის საჭირო. მესმის, მთავრობა პესიმიზმით არ უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ ასეთი განცხადებების კეთებას უფრო მეტი სიფრთხილე სჭირდება, რამდენი მანქანა გაიყიდა ოქტომბერში თუ სექტემბერში, ამის მიხედვით ნამდვილად ვერ ვიმსჯელებთ ეკონომიკის მდგომარეობაზე. მაგალითად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ჩემი ყოფილი სტუდენტია, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ სჯობს, ასეთ იაფფასიან რაღაცებს ნუ გამოეკიდება, მანქანები ითვალონ სხვებმა და იმათ აპიარონ.

გელა ზედელაშვილი